საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 130/6 | 20 დეკემბერი, 2013 წელი

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
(№07-3/291, 12.12.2013)

(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრი ზ. ტყემალაძე

ინიციატორი

საქ. პარლამენტის წევრი ზ. ტყემალაძე

ავტორი

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

12. 12. 2013.

შემოსვლის თარიღი

წამყვან კომიტეტზე -23.12.2013 - 27.12.2013
სხვა კომიტეტებზე -23.12.2013 - 27.12.2013

საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი

24.12.2013 - 27.12.2013

პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

აგრარულ საკითხთა კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე | დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№130/26

2013 წელი, 20 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ტყემალაძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (№07-3/291, 12.12.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 20 დეკემბრის №130/6 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბიუროს სხდომის თავმჯდომარე	დავით უსუფაშვილი